

სისა, წლისა და თვისა და გამგზავნელის გვარის მეტი სხვა არ არის რა. წინადადება შემთხვევაში სამკაპიკიანი მარკა დასჭირდება.

* * როგორც „Нов. Общ.“-ს სწორედ ოზურგეთიდან, პოლიციას თურმე უკვე მიუგვია ნიგოთში მომხდარ მკვლელობის ჩამდენთა კვლისათვის. როგორც ფიქრობენ, მკვლელები ცნობილი ყმალი მიქელია და ორიც სხვა ციმიბრედგან გამოკეული უნდა იყოს.

* * ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის თანაშემწე ინჟინერი შაიკვეიჩი პეტერბურგიდან ტფილისს უკვე დაბრუნდა. პეტერბურგს ახლა რკინის გზის უფროსი ვედენევი მიდის, რომ 1902 წლის რკინის გზის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაში მონაწილეობა მიიღოს.

* * სამხედრო სამინისტროს განზარახვა აქვს 1,150-მდე საოფიცრო ბინა ააშენოს.

* * 10 ოქტომბრის ქალაქის გამგეობის სხდომაზედ ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ გაუმჯობესებულ იქნას ქალაქის ქუჩების გაწმენდა-გასუფთავების საქმე. გამგეობამ დაადგინა წინადადება მიეცეს საღმრთა-მართლმადიდებლო განყოფილებას მოუმატოს მუშათა რიცხვი.

* * დღეს, 12 ოქტომბერს, კავკასიის შინა მრეწველთა კრებაზედ განსახილველად დანიშნულია შემდეგი მოხსენებები: ს. მ. ზავაროვისა—კავკასიაში შინა მრეწველობის სტატისტიკურად და ეკონომიურად შესწავლის შესახებ და ო. ი. შმერლინგისა—იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყოს შინა მრეწველობის სხვა-და-სხვა ნიმუშებისა რესურსების კოლექციის შედგენის საქმე.

* * სამშაბათს, 10 ოქტომბერს, საღამო სხდომაზედ ქალაქის გამგეობას განსახილველად წარუდგინა გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერტეხივილიმა საქართველოს ექსპარ-

ხოსის მაღალ-ყოვლად-უსამღდელოესი ფლობის წერილი იმის შესახებ, რომ ტფილისის საღმრთო-სახლარკინის გზის მოსამსახურეთათვის ეკლესიის ასაშენებლად ადგილი იქნას დათმობილი. გამგეობამ, მიიღო რა სახეში, რომ რკინის გზის ლიანდაგს გადმოეღო თავისუფალი ადგილი არ არის, ხოლო ნაძალადეგსა და ლოტკის გორაზე ეკლესიებისათვის ადგილი უკვე დაეთმო, გარდასწყვიტა შეატყობინოს ეს ექსპარხოსს.

* * პოლიციის მე-3 ნაწილში, 9 ოქტომბერს, საღმრთო-სახლარკინისათვის ქურდს მოუპარავს ფულად 550 მან. და 685 მან. ღირებული ძვირფასი ნივთები საღმრთო-სახლარკინისათვის მოსამსახურე ხაჩატურ აბრამოვზე განუცხადებია. რომელიც უკვე დააპატიმრეს.

* * როგორც ხმა დადის, კავკასიის გამოფენის თეატრის გამართვლელ ჯერ-ჯერობით 8,000 მან! ზარალი თურმე აქვთ.

* * უჯარის სადგურადგან იუწყებიან, რომ 10 ოქტომბერს მე-573 ვერსზედ, ბარგუშეთსა და უჯარას შუა, საფოსტო მატარებელს № 3 ვიღაც დედაკაცი გაუსრესია.

* * როგორც მე-489 ვერსის გზის ასაქვევიდან იუწყებიან (დალმამეტლსა და კურუქ-ჩაის შუა), 10 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ, მატარებელის № 172 ორივე ორთქლმავალი ლიანდაგიდან გადავარდნილა და უკანადად დაჯახებულ ვაგონების მიზეზით 11 ვაგონი მთლად დამტყვევდა. უმთავრესი ლიანდაგი ამის გამო 11 ოქტომბრამდე გადობილი იყო, ვიდრე გზის ასაქვევს ლიანდაგს გაიყვანდნენ.

წერილები ინგლისიდან

წერილი 32
უმუშაოდ დარჩენილთა ვაჭირვება.—პარლამენტის ანგარიში შიმშილისაგან გარდაცვალებულთა შესახებ და კონსერვატიულ პრესის აღწერება—იგივე პრესა და სამხრეთ-აფრიკის ომი.

ინგლისის მრეწველობას ცუდი დღე დაუდგაო, ვწერდით წინანდელ წერილში. შევეხე იმ წერილში აგრეთვე მუშათა ვაჭირვებას სამუშაოს უქონლობის გამო და წარმოვე-

ბის შეფერხებას სამხრეთ აფრიკის სამარცხენო ომის გამო. წარმოვების ზოგიერთ დარგსა და ხელოსნობაში კრიზისი უკვე შესამჩნევად გამოწვევა. წარსულ კვირას გრამსბში ადგილობრივმა მეთევზეებმა უწყობები მოახდინეს, ხოლო მცხოვრებნი ვალისის ერთი პატარა ქალაქისა—ვიფვდისა, სადაც შიმფერის (ასილის) უმდიდრესი მაღაროებია, უსაქმობისა და უფულობის გამო გზა-კვალ დაბნეულებივით აქეთ-იქით გარბიან.

მართალია, უწყობები გრამსბსა და ვიფვდში მარტო საზოგადო კრიზისის წყალობით არ არის გამოწვეული; ამასი მიზეზი პატრონი და მესაკუთრენიც არიან, რომელნიც მუშათა კავშირების ძალისა და მნიშვნელობის დაკარგვას და სამუშაო ფასის დაკლებას სცდილობენ. მაგრამ, ამის და მიუხედავად, ვაჭირვება და საქმეების შეფერხება ყველგან საგრძობელი შეიქნა. ლონდონს არ ახსოვს ჯერ იმდენი უსაქმოდ დარჩენილი მამაკაცი და დედაკაცი, რამდენიც ეხლაა. ეს ვაჭირვებულნი ქუჩებში სიჩქეპსა ჰყიდიან, რომელსაც საქველ-მოქმედო საზოგადოებანი დაშველთ ურიგებენ. არასოდეს ლონდონში თავი არ მოუყრია ესოდენ უსახლკარო, ბოგანო და დამშვეულ ხალხს. ამათ თავშესაფარს ბაღების ბუჩქები და ხეები შეადგენენ, ისიც იმ დრომდე, ვიდრე კარებებს არ დაჰკეტავენ და ღამის გასათევად ქუჩებში არ გამოჰყრიან. საშინელი, შემზარავი სიღატაკე მიადგა კარს უბედურთ, რომელთა რიცხვიც ათასობით ითვლება. უმუშაოდ დარჩენილი მთელის ოჯახობით ქუჩა-ქუჩა დადიან; ამათი შემზარავი ხმა გულს უკლავს კაცს. ხელ-ახლა აიწია ლონდონში სიღარბისა და ტანჯვა-წვალების ბარომეტრმა—შიმშილისაგან წუთი-საფეხს გამოსალმებულთა რიცხვმა.

ყოველ წელიწადს პარლამენტი

ბმეკდავს ანგარიშს იმათ შესახებ, ვინც შიმშილისა და ვაჭირვებისაგან ჰყვდება. ეს საზარელი საბუთის ქალაქი საყვედურია ჩვენის ცივილიზაციისა, აწინდელის საზოგადოებრივ ცხოვრებისა, ინგლისის გულ-ქვაობისა. კიდევ კარგი, რომ პარლამენტი არა ჰმალავს და ყოველ წელიწადს ბმეკდავს შიმშილის უბედურ მსხვერპლთა რიცხვს. მკითხველი საზოგადოება, ერთის წუთით მაინც, შეჩერდება უცნობ ტანჯულთა ამ მწარე ტრაგედიის წინაშე, ხოლო საზოგადოებრივი ცნობიერება ცოტა ხნით მაინც იგრძნობს პასუხის-მგებლობას უმდიდრეს და უდიდეს ქალაქის ქუჩებში შიმშილისაგან დაღუპულთა წინაშე.

ამ ხანადაც საბუთის ქალაქმა, რომელიც ბუფფალიოში მომხდარ ტრაგედიის დროს იქნა გამოცემული, მწარე ფიქრები და კამათი გამოიწვია მწერლობა—საზოგადოებაში. „ამ საცოდაობის სურათში, სწერს „Daily News“-ი, თვალ-წინ გვიდგა ძველადვე ცნობილი ტანჯვა, ჩვენ ყურთამდე ისმის დავიწყებულთა და დევნილთა ჩვილ გოდება. ჩვენ ვურჩევთ პატიოსან კაცებს, რომელნიც გაცივებით შეპყრებენ ანარქიზმის ზრდას, შეისწავლონ ეს მცირე საბუთის ქალაქი და მაშინ გაიგებენ, რომ შიმშილისაგან მოუძღვრებულს და სასიკვდილოდ განმზადებულსაც შეუძლიან კენა და ამხედრება...“ „ახალი ანგარიში გვარწმუნებს, ამბობს „Star“-ი, რომ განვილილ წელს ჩვენ შორის შიმშილისა და ვაჭირვებისაგან 53 კაცი მომკვდარა. ორმოც-და-ცამეტი ტრაგედია!.. ჩვეულებისამებრ, ჩვენ (განათლებულნი და მდიდარნი) ვიფიქრებთ ცხოვრების საზიზარ და მწარე მხარეებს იმ დრომდე... ვიდრე რომელიმე ჩოლოვისი ძალიად არ დაგვანახვებს ამ მხარეებს...“

ჩემდა უნებურად უნდა შევცვალო ამ წერილის ბოლო. დღევან-

დელი დღის გაზეთები: „Times“-ი, „Standard“-ი, „Pall Mall Gazette“ და სხვანი აქამდე ამბობენ, რომ შიმშილისა და ვაჭირვების გამო, სამინისტროსი და ამ ორ წელიწადს მომხდარ საზიზარ საქმეების დამცველი, ერთხმად ამტკუნებენ სამინისტროსა და მთლად მთავრობას და უნიკობის, ბედლოთობისა და წინდაუხედაობის ბრალსა სდებენ.

„საზოგადოება, სწერს „Times“-ი, ვაკვირვებული ჰკითხულობს: ბრები ხომ არ არიან ჩვენი მმართველნი, რომ ვერ ჰხედავენ და ვერ აფასებენ ყველა იმას, რასაც სხვანი ჰხედავენო!“

რაშია საქმე? რომელ ვაჭირვებისა და ამბების შესახებ სწუხან? ეს გაზეთები ჩემბერლენის წინამძღოლობით მთელი ერთი წელიწადი არწმუნებენ საზოგადოებას, რომ ომი გათავდაო. რა მიზეზია, რომ ეხლა ერთი იმათგანი მოწყენილი კილოთი სწერს: „მგონი ომი სამინისტროსათვის სამუდამო, ნორმალურ საქმედ გარდაიქცა?“ „თუ 1900 წელს, ამბობს „Standard“-ი, შესცდნენ და არწმუნებდნენ ხალხს, რომ ომი დამთავრდაო, მთავრობამ ერთის წლით კიდევ რად გაქიმიო?.. რატომ ეხლა მაინც არ უჩანს ომს ბოლო?...“ „ომმა გაანადგურა აფრიკა, განაგრძობს გაზეთი, იგი ინგლისსაც ანადგურებს ომი მეტად ვაჭირვება, მეტად ძვირად გვიჯდება. დროა გავათავოთ!“..

ეს ის ენა და კილოა, რომლითაც აქამდე ოპოზიცია ლაპარაკობდა. ბოტკამ, დევეტმა, დელარემი ბოლოს, როგორც იქნა, ომის მოტრფილეთაც თვალები აუხილეს ყველა სწუხს და ჰგოდებს ეხლსამხრეთ-აფრიკის ომის გამო. მიზეზიც არის ამ წუხილისა: როგორც აღმოჩნდა, ბურები ბურების ვით მოედნენ კაპის ახალშენს-

პროფესორმა მიულერმა ეს ძვირფასი სიყვარული მეცნიერებისადმი ვირხოვს მალე შეპნიშნა და დაიხლოვდა, ცოკხალი ორგანიზმის წარმოშობის შესახებ დაწყებულს თავისს შრომაში მიხლობელი მონაწილეობა მიიღებინა, მუდამ ჰხელმძღვანელობდა. ვირხოვი მიულერის ერთგული მოწაფე შეიქნა, მისის პირდაპირი ხელმძღვანელობით შეისწავლა, მაგალითად, ძირითადნი სამკურნალო მეცნიერებანი: ანატომია, ფიზიოლოგია და პათოლოგიური ანატომია, რომელიც შემდეგ დიდებულმა მეცნიერმა თავისს საგანგებო სავანად აირჩია და რომელსაც ახალი, მანამდის უცნობი სული ჩაუდგა, ახალი მიმართულება მისცა.

ინსტიტუტი ვირხოვმა 1843 წელს დაასრულა და ამ წელსვე დაიკვა დოქტორობის დისერტაცია „De rheumate praesertim coxae“ („О воспалении преимущественно коговицы“), რომელსაც მაშინდელის ჩვეულებისამებრ, სხვათა შორის, შემდეგი აზრი წარუძღვარა: „მხოლოდ ლიბერალურ იდეების თანამგრძობელთ შეუძლიან მკურნალობის ნამდვილი დანიშნულება შეიგნონო“ („Nisi qui liberalibus

rebus favent, veram medicinae indolem non cognoscunt“) დისერტაციაში ვირხოვს მაშინვე დარბაისელი მეცნიერის სახელი მოუხვეჭა და პროფესორის რაბერტ ფრორიბის თხოვნით „harite“-ს საავადმყოფოში მიიღეს ჯერ ასისტენტათა რ შემდეგ ფრორიბის სიკვდილისა, მისს ადგილზედ პროფეტორად. აქედან იწყება ვირხოვის ყოვლად ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა.

ახალგაზრდა მეცნიერი გამსჭვალულია ერთის ზოგადი აზრით, რომ ყველა სხვა-და-სხვა პათალოგიურს მოვლენას ორგანიზმში ერთი სათავე გამოუძენოს, მრავალგვარი აბნეული პროცესები გამარტივოს და დაამტკიცოს, რომ ყველა ავადმყოფობა ადამიანის სხეულის ელემენტარულ, სულ რიცხვის ნაწილებზეა დაყარებული. ვირხოვის მიერ 1846 წელს დაწერილი პროფ. როკიტანსკის თხოვნების „საზოგადო პათალოგიისა და ტერაპიის“ კრიტიკამ ცნობილი ჰუმორალური თეორია (ვითომ ყველა ავადმყოფობის მიზეზი სხეულის მანე წვენებში იყო, საეხებით დაახლო და მთელის ევროპის სწავლულების ყურა-

დღება მიიპყრო. შემდეგ წელს-კი ვირხოვი ბერლინის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტად დანიშნეს, ლექციების კითხვა დაიწყო. ამ დროს მის გარშემო ყოველი მხრიდან უკვე შემოკრბნენ ახალგაზრდა სწავლულები და დაიწყეს შრომა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ახალგაზრდა პათალოგისებმა ვერც ერთს სამკურნალო ეურნალში ვერ მოახერხეს თავისს გამოკვლევათა და დაკვირვებათა ბეჭედა, ყველგანა სდევნიდნენ. ნივთიერად ხელმოკლე ვირხოვმა ბოლოს, როგორც იყო, მოახერხა და რეინხარდთან ერთად გამოსცა „პათალოგიურ ანატომიისა, ფიზიოლოგიისა და კლინიკურ მედიცინის არხივის“ პირველი №, რომელსაც შემდეგში „ვირხოვის არხივი“ ეწოდა სახელად, მთელის განათლებულ კაცობრიობის ორგანოდ გარდიქნა და დღეს უკვე 150 დიდს ტომს შეადგენს. თვითან ვირხოვს „არხივი“ სულ ცოტა 200-ზედ მეტი სამეცნიერო შრომა და სახელმძღვანელო წერილი აქვს დაბეჭდილი, რომელსაც მეცნიერნი ყველა მხრიდან მოწიწებით ადევნებდნენ თვალ-ყურს.

1848 წელს პრუსიის მთავრობამ ვირხოვი ზემო სიღვიაში საშინ-

ლად გაგრცვლებულ სახადის გამოსაკვლევად და შესასწავლად გაგზავნა. ახალგაზრდა მეცნიერმა თავისს დანიშნულებას სულ სხვა თვლით შეჰხედა და მთავრობას წარუდგინა მოხსენება, რომელშიაც გადამდები სენი სოციოლოგი ბოროტებად, საზოგადო განუფითარებლობისა, უსუფთაობისა, დაუდევრობისა და საზოგადოების მოუწყობლობის ნაყოფად დასახა. ამ რიგად აღნიშნულის შრომით ვირხოვმა ახლა მხურვალე სოციოლოგისისა და საზოგადო მოღვაწის სახელიც გაითქვა. აი, მაგალითად, თავისს მოხსენებაში რას ამბობდა ვირხოვი: „სახელმწიფო მოვალეა უთუოდ თვითუდ მუშის ადამიანური არსებობა უზრუნველ-ჰყოსო“ და ამის შესასრულებლად შეუძლებელთა ასოციაციების დაარსებასა თხოულადა. „ყოველგვარს ქონებას მოკლებული ასოციაცია შრომისა, ვირხოვის სიტყვით, სახელმწიფო კაპიტალთან და ფულის არისტოკრატასთან ერთად ერთადერთი საშუალებაა სოციოლოგი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; კაპიტალს და სამუშაო ძალას ერთნაირი უფლება უნდა ჰქონდეს; ცოცხალი

ძალია კაპიტალს არ უნდა ჰმორიოლებდესო“.

ამ რიგად სიღვიაში ნანახმა სიღარიბემა და უბედურებამ ხალხისამ ვირხოვს ახლის საზოგადო საპოლიტიკო მოღვაწეობის სურვილი გაუღვიძა და აიძულა მკურნალობის საქმის შესაცვლელად საგანგებო ორგანო დაეარსებინა. ამ აზრით ვირხოვმა ყოველ-კვირეული იხალი ორგანო „სამკურნალო რეფორმა“ დააარსა, რომელსაც ვირხოვის მოწინავე წერილის სიტყვებით: „მკურნალები ღარიბთა ბუნებრივნი დამცველნი არიანო“, საქმოდ ახასიათებენ. 1848 წელს ტიურინგენის რამდენმამე ოლქში ვირხოვი, როგორც მხნე მებრძოლი ცვლილ მისათვის, პრუსიის „დამფუძნებელთა საკრებულოში“ აირჩიეს თავისს წარმომადგენლად. მაგრამ არ ესოშუალებია მიზეზით სამეფო საავადმყოფოს პროფეტორის თანამდებობიდან გადააყენეს.

ბერლინიდან განდევნილმა ახალგაზრდა მეცნიერმა მთელი 7 წელიწადი ახლა ვურცტურგის უნივერსიტეტში გაატარა პათალოგიურ ანატომიის პროფესორად, სადაც მას მუდამ ურიცხვი ყურის მგდ-



დღეს 42 იმათი რაზმი დაპარაზობს იქ. ბოტრებმა ამ დღეებში მიიღეს სურსათი და სამხედრო მასალა; უკანასკნელ სამი კვირის განმავლობაში ისინი ყველგან ამარცხებენ ინგლისელებს, და დღეს არა, ხელო მთელი ახალშენი ამკარად ვეხვდ და დღეობა. დიად, ბევრი რამაა დამაფიქრებელი.

თუ რა გაქორწიებული მდგომარეობაშია ინგლისის ჯარი, ეს „Times“-ის კორესპონდენტის წერილიდანაა სჩანს. თურმე ხუ იტყვიოთ, სამხედრო მასალათა და სურსათით დატვირთულ მატარებლებს მხოლოდ ბურების თანხმობით შეეძლოთ გავლა; ისინი თავიანთის იღებდნენ სურსათის ნაწილს და შემდეგ ისტუმრებდნენ მატარებლებს ინგლისელებთან.

ყოველივე ეს ინგლისელებისთვის სამწუხაროც არის და სამარცხვიროც. მხედველობაში იქონიეთ, რომ ტრანსვალში ზაფხული ეს არის ესლა დღეობა და ინგლისელები არა ერთსა და ორს ბრძოლას და დამარცხებას ჰნახავენ კიდევ.

გ. მარველი

ქუთაისის ქალაქის საბჭო.

8 ოქტომბერს.

საბჭოს თავმჯდომარეობდა ქალაქალაქის თავი დ. ა. ლორთქიფანიძე, თავმჯდომარემ საბჭოს მოახსენა, რომ, წინანდელ სხდომის გარდაუვალებებისამებრ, ქალაქის დეპუტატის ბედნიერება ჰქონდა წარს დგამოდა მისს იმპერატორობით უმადღესობას, დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოზის ძესაო. ამის შემდეგ წაკითხულ იქნა დიდის მთავრის დეპუტატის პასუხად იმისა, რომელიც ქალაქის სახელით მოუტარავს გაუზავანია ბორჯომში. საპასუხო დეპუტატს საბჭომ ვეხვდ დგომით მოისმინა.

თავმჯდომარემ საბჭოს აუწყა გარდაცვალება ტფილისის მოურავის

ევანგელოვისა, და საბჭომ მიცვალელებულს ვეხვდ ადგომით პატივი სცა.

ამის შემდეგ საბჭო მიმდინარე საქმეების განხილვას შეუდგა. ქალაქის მამულების დამფასებელ კომისიის წევრებად კენჭის ყრით არჩეულ იქნენ: გიორგი ს. კიხია, თეოფილე კობეშვიდი, ვარდამ ი. ქილაძე, ივანე პ. კოკოჩავილი, კონსტანტინე გუგუშვილი, ბ. მამაჯანოვი და ბ. გურგენიძე.

ერთმა ხმოსანთაგანმა განაცხადა, რომ კომისიის წევრად, სხვათა შორის, ერთი ებრაელიც ყოფილიყო არჩეული. ამაზე ქალაქის თავმა უპასუხა, რომ თვით ებრაელებს მიუხართავთ იმისათვის ამ თხოვნით, მაგრამ, რადგანაც კანონი საზოგადოდ ებრაელებს არ ანიჭებს უფლებას რომელიმე ადმინისტრაციულ კომისიის წევრობისას, ამიტომ ამ სამართლიანს სურვილს საბჭომ უარი უნდა უთხრასო.

შემდეგ საბჭოს უნდა მოხსენებოდა დასკვნა საგანგებო კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გაშინჯვა იმ ადგილისა, სადაც ინჟინერს მიხაილოვს და ამხანაგობას ჰსურს წყლის გამოსაყვანი მოწყობილება გამართოს. სხდომას დაესწრა თვით ინჟინერი მიხაილოვი.

ქალაქის თავმა განაცხადა, რომ ორჯერ მოვიწიე კომისიის წევრი, მაგრამ ამთვან ორის მეტი (მის. დარახველიძე და ა. ს. საყვარელიძე) არ გამოცხადებულა, რის გამო ხსენებულ საგნის შესახებ არავითარი დასკვნა არ იყო წარმოდგენილიო. საბჭო ხელახლა დაუბრუნდა, მიხაილოვის საკითხისამებრ, პირობის მეორე მუხლს. ხანგრძლივის კამათის შემდეგ გამოირკვა, რომ შემოხსენებული მუხლი უნდა იქმნეს ვაგებულები ამ გვარად: ინჟინერი მიხაილოვი ვალდებულია წყლის გამოსაყვანი ადგილი აირჩიოს უთუოდ მესამე ვერსის მანძილზე და არა მეორისაზე, რე მლის ბოლოს მდებარეობს მარჯანიშვილის მიწა.

ეს ადგილი ბ-ნ მიხაილოს და ქალაქის ინჟინერს ბ. ფონ შულცსაც ტენიკურის მოსახრებით წყლის გამოსაყვან საუკეთესო ადგილად მიანიათ, რადგანაც ამ ადგილას რიონის კალაპოტი ვიწრო, კლდოვანი და უცვლელია. მაგრამ ეს ადგილი უვარგისად მიანიათ ბ-ნთ ექიმებს ნაზაროვს და ხეჩინოვს, რადგანაც იმ არე-მარეში მოსახლეობა თანდათან ვრცელდება და ამის გამო, შესაძლებელია, წყალი გაუწმინდურდეს. შემდეგ არჩეულ იქნა კომისია (ექ. ხეჩინოვი, ლორთქიანიძე, თოფურია, ნაზაროვი), რომელსაც მიანდგეს წყლის თვისების შემოწმება იმ ადგილზე, სადაც წყლის ამოსაღები უნდა გაიმართოს.

ამასთანავე ვსარგებლობთ შემთხვევით განვაცხადოთ, რომ „ივერიის“ 205 ნომერში დაბეჭდილს ანგარიშში არც ერთი სიტყვით არ მოგვიხსენებია ის გარემოება, ვითომც ბ-ნი მიხაილოვი ესწრაფებოდეს ქალაქთან შეკრულ პირობის აუსრულებლობას, რადგანაც ამ გვარი ექვიანი სიტყვა საბჭოში არავის არ წარმოუთქვამს. ასეთს ჩვენს განცხადებას იწვევს ბ-ნ მიხაილოვის წერილი, რომელიც ამ ექვის გამო რედაქციას მივლო.

საბჭოს მოხსენება პოლიცემისტრის ქალაქი, რომლითაც იგი აუწყებს საბჭოს, რომ პოლიციის ქუჩაზე, თუთბერიძის სხლის ქვემო სართულში, შეუძლებელია განიხნას დენის სარდაფი, რადგანაც ზემო სართულში მოთავსებულია პოლიციის პოქაულის კანცელარიაო. ქალაქში პოლიცემისტრი ამბობს, საბჭომ რომ კიდევაც ნება დართოს, პოლიცია თავის შტოთ მიინც საჩდაფს აკრძაივ. აღმოჩნდა, რომ კანონით ბ. თუთბერიძეს ვერავინ ვერ აუკრძალავს სარდაფის გახსნას, ამიტომ საბჭომ პოლიცემისტრის ქალაქი უყურადღებოდ დასტოვა.

კლუბსა და დეპუტატთა საკრე-

ბულოს უთხოვიათ, გამგეობას მიექირავენინა მათთვის ქალაქის სახლში რამდენიმე ოთახი. საბჭომ დაადგინა კლუბს მიაქირაოს, თუ იგი საბჭოს მიერ დადებულ პირობებს აღასრულებს, თუ არა, მაშინ ოთახები საკრებულოს დაეთმოა.

ბოლოს განიხილეს ყასბების თხოვნა ხორცის ნიხრის მომატების შესახებ, მაგრამ საბჭომ თხოვნა უარჰყო და ისევ ძველი ნიხრი დასტოვა.

უცხოეთი

შეერთებული შტატები. პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი ამჟამად კონგრესსზე სამის პროექტის წარდგენას აპირებს: 1) ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, 2) ემიგრაციის შეზღუდვის შესახებ და 3) ფლოტის გაძლიერების შესახებ. თანდათან უფრო ირკვევა, რომ რუზველტი სავსებით იმავე პოლიტიკურს გზას ადგია, რომელსაც მაკინლეი მისდევდა; რუზველტი ისეთივე იმპერიალისტია, როგორც იმის წინამოადგილე იყო ვაშინგტონში ლაპარაკობენ, რომ რუზველტი ენერგიულად მოითხოვს კონგრესსში ფლოტის გაძლიერებასო. მაკინლეისთან შედარებით, რუზველტი უფრო თავისუფალი, ენერგიული და პარტიათაგან დამოუკიდებელია, ვიდრე მაკინლეი იყო, და ამიტომ, თუ მაკინლეის დროსაც-კი, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა გააძლიერა და ევროპის დიდს სახელმწიფოებს ამოუდგა გვერდში, ესლა რუზველტის დროს უფრო მეტს უნდა ველოდეთ.

ინგლისი. გაზეთი „South African News“-ი შემდეგ აღარ გამოვა. რედაქტორმა უკანასკნელს ნომერში გამოაცხადა, რომ სიმკაცრე და შეზღუდვა მთავრობისაგან ბეჭ-

ნივთიერება შეიძლება კიდევ შეივსოს და სხ. გარდა ამისა, დიდი ღვაწლი მიუძღვის ვირხოვსა აგრეთვე კრეტინიზმის (ბუნებით გონება-ჩლონგობის) გამოკვლევაში და ანთროპოლოგიის განვითარებაში, რომლის ერთი დარგიც—კრანეოლოგია (თავის ქალას შესწავლა)—თითქმის მთლად ვირხოვმა შეიმუშავა, მტკიცე სამეცნიერო ნიადაგზე დაყენა. დიდა ვირხოვის ღვაწლი და შრომა აგრეთვე არხეოლოგიაშიაც.

ერთი სიტყვით, მსკოვანი მეცნიერი ერთსა და იმავე დროს დიდებული პათოლოგოსიც იყო, პოლიტიკოსიც, ანთროპოლოგოსიც და გიგინისტიც; მისს მადლიანსა და უკვდავს მარჯვენას ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო შრომა, რომელზედაც მთელის ევროპის საუკეთესო მეცნიერნი აღიზარდნენ და განვითარდნენ ამ ორმოცის წლის განმავლობაში. არსად ევროპაში და რუსეთში არ მოიძებნება უთუოდ ისეთი საუნევერსიტეტო ცენტრი, რომ აქ ვირხოვის რამდენიმე მოწაფე არ იღვწოდეს; რაც შეეხება წიგნებით მისს მიერ აღზრდილთ, ამათ ხომ თვლა არა აქვთ. დღეს იგი თითქმის ყველა

დღითს სიტყვის თავისუფლებას მიიძლეულ გვყოფს შვეიცარიის ჩვენის გაზეთის გამოცემაო.

— ინგლისიდან სამხრეთ-აფრიკაში ახალის რაზმების გაგზავნას აპირებენ; გასაგზავნად აღდერსტოვის რაზმს ამზადებენ; ამ რაზმში 29,000 ოფიცერი და ჯარისკაცი ითვლება.

— სამხრეთ აფრიკიდან უკან დაბრუნებული იომანრები დღად უკმაყოფილონი არიან იმის გამო, რომ აქამდე ჯამგირი არ დაურიდათ. ზოგიერთებმა ესლა ერთად უჩიველეს სამხედრო ადმინისტრაციას სასამართლოში.

სამხრეთი აფრიკა. ვარშავაში მოვიდა ბურთა ოფიცერი ნირსტრაცი, რომელსაც აზრად აქვს წინადადება მისცეს პეტერბურგის, მოსკოვის და ვარშავის გაზეთებს, სამხრეთ აფრიკის შესახებ ცნობები მიიღონ ხოლმე ჰავაში დაარსებულის კორესპონდენტთა ბიუროდამ, აქამდე იმის შესახებ ცნობები ინგლისის გაზეთებიდან იყო ხოლმე ამოკრეფილი, მაგრამ ინგლისში პირუთენელ გადმოცემას ფაქტებისას იშვიათად შეხვდებოდით, ესლაკი ბურთა პატარა ჯგუფმა განიძრახა ნამდვილის ცნობების გამოკვეყნება და ამ აზრით დააარსა საკორესპონდენტო ბიურო ჰავაში.

ავსტრალი-შენგათი. გამოირკვა ჩეხიის სენიში არჩევნების რეზულტატები. არჩეულ არიან 49 კონსერვატიული ჩეხელი ფეოდალი, — 21 გერმანელთა კონსტიტუციონელი მიწის-მფლობელი, — 25 პროგრესისტი, — 14 სერო პარტიის წევრი, — 2 პანგერმანელი, — 3 აგრარი, — 1 ქრისტიანი სოციალისტი, — 66 მლადო ჩეხი, — 5 პანბოჰემიელი, — 17 აგრარი და 2 რადიკალი. ამ არჩევნებმა გააცრუა თითქმის სავსეთო მოლოდინი იმის შესახებ, რომ ჩეხიის არჩევნები ნაციონალურის საკითხის გამამწვაებელს რეზულტატს მოიკემოდა.

გამრანია. საქსონიის მრეწვე-

ბელი ჰყავდა, როგორც გერმანიიდან, ისე ევროპის სხვა-და-სხვა უცხო სახელმწიფოებიდან. მალე ვირხოვის სახელი, როგორც ნიქიერის მასწავლებლისა და შესანიშნავის სწავლულისა, მთელს გერმანიას, მთელს ევროპას მოეფინა. ამ დროსვე ეკუთვნის მრავალი მისი სამეცნიერო შრომა „კერძო ტერაპის სახელმძღვანელოში“ და „მკურნალობის ყოველწლიურ აღმოჩენათა და გამოკვლევათა მიმოხილვაში“ დაბეჭდილი, სადაც იგი ხან რედაქტორად იყო, ხან მის მოადგილეთ. ვურცბურგის უნივერსიტეტში ყოფნის დროს შეიმუშავა უმეტესად თავისი ახალი მხედლეობა იმის შესახებ, რომ ორგანიზმში უმთავრესი როლი უჯრედს ეკუთვნის და ჯანმრთელობა თუ ავადმყოფობა ორივე აღნიშნულ უჯრედის მდგომარეობაზეა დამოკიდებული. 1855 წელს-კი „არხივის“ მე-VIII ტომში გრცელი წერილი დაბეჭდა იმის შესახებ, რომ თავი და თავი მიზეზი ყოველგვარ ავადმყოფობისა უჯრედების დაავადებაა. ამ რიგად აღნიშნულს წერილში პირველად გამოაქვეყნა აზრი, რომ „ყოველი უჯრედი უჯრედისგანვე წარმოას-

დგება“ (Omnis cellulae cellula) და ტყუილია ის, ვითომ თავის თავად, დამოუკიდებლად ჩასახვა სიცოცხლისა შესაძლებელი იყოს. ვირხოვმა საბოლოოდ დაადგინა, რომ ძირითადი ელემენტი ყველა ორგანიზმისა უჯრედი, რომ ჯანმრთელობისა თუ ავადმყოფობის პროცესების დასაწყისი და დასასრული ისევე უჯრედების ცვლილებაა; ამიტომ თავი და თავი ყურადღება უჯრედს უნდა მიექცეს, იგი უნდა შეისწავლონ, გამოიკვლიონო. ამ რიგად სამკურნალო მეცნიერებისათვის სრულიად ახალი საძირკველი ჩაიყარა, ახალი საშუალება გამოიძებნა საკვლედად. მეორე დიდად შესანიშნავს შრომას ვირხოვისას შეადგენს ვგრედწოდებული „ავადმყოფობათა სიმსიენე“, რომელშიაც პირველად იქნა ნაჩვენები სხვა-და-სხვა გვარი სიმსიენის პრინციპები. დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ სამკურნალო მეცნიერებაში აგრეთვე „ანთების შესახებ“ ვირხოვის აზრს, რომ სისხლ-სადენელს ჭურებსა და ნერვებს უმთავრესი მნიშვნელობა აქვთ ანთების დროს, თუმცა თავი და თავი მიზეზი ისევე უჯრედებსა და მათს ცვლილებაშიაო. ვირხოვამვე

შეპნა-შნა პირველად, რომ ანთების დროს სისხლში ცვლილება ხდება და სხ. საზოგადოდ, როგორც პათოლოგოს-ანატომოსმა და გისტოლოგოსმა, პირველად დაადგინა სხვა-და-სხვა ავადმყოფობათა: სისხლ-თეთრობისა (leukaemia), ტრომბოზისა (სისხლის შედედებისა, ემბოლიისა (ჭაერით დაცობა), სხვა-და-სხვა ორგანოების ამილოიდურ გადაშენებისა (ქონად ქცევისა), ქლექისა, ინგლისურ ავადმყოფ პისა (ძვლების მორბილებისა), ტრისინოზისა და სხ. გისტოლოგიურ-ფიზიოლოგიური ბუნება რას წარმოადგენს; აღმოაჩინა, რომ დაავადებულს ორგანოებში ქსელი ისევე ჩვეულებრივს ფიზიოლოგიურს ტიპს წარმოადგენს; ახსნა და განმარტა სხვა-და-სხვა ორგანოები და ქსელები ნორმალურად რისგან შესდგებიან; დაადგინა, რომ ლიმფატური და კანკატელაქსელის უჯრედებიც ისრევე შეიძლება შეიკუმშვიშალოს, როგორც სხვებისა; შემაერთებელს ქსელში ცოცხალი, მოქმედი უჯრედები აღმოაჩინა; გამოარკვია რისგან და როგორ შესდგება ლორწოვანი ქსელი, ნერვიული სისტემა; დაამტკიცა, რომ ტენის ყოძრალი

ქვეყნების სამკურნალო-სამეცნიერო საზოგადოებათა საპატიო წევრად ითვლება, ყველასაგან უკვდავად აღიარებულია. იშვიათია მართლაც, ადამიანმა და ისიც მეცნიერმა, რომელიც მეტს ნაწილს თავისუფალ დროისას თავისს კაბინეტში ატარებს კვლევა-ძიებაში, იმოდენი შრომა და ღვაწლი მიიღოს საზოგადოებისა და ხალხის ცხოვრებაში, რომოდენიც დიდებულმა ვირხოვმა შესძლო: სახალხო ჯანმრთელობა, გახათლება, სამართლიანი შრომის დაკმაყოფილება, თავისუფლება და ამავე დროს ამდენი სამეცნიერო კვლევა-ძიებანი, ყველა ერთად ერთის ადამიანის ნამოქმედარად წარმოდგენილი, უნებურად მეცნიერისადმი პატივისცემას გვაგრძობინებს და გვაკვირებს, ნუთუ-ლა შესაძლებელი იყო ჩვენ თვლ-წინ უბრალო მომაკვდავს ქვეყნისათვის ამოდენა სიკეთე მოეტანოს?.. დღევანდელი და კურთხეულ იყოს, მაშ, მეცნიერო, სახელი შენი!

Morusus.

ლებს განუზრახავთ რუსეთში გადმოიტანონ თავიანთი სამრეწველო დაწესებულებანი, თუ რუსეთთან საეკონომიკურ შეთანხმება მრეწველობისთვის ხელსაყრელის პირობებით არ მოხდება. ამ გვარის ზომით საქონლის მრეწველები წინად იცავდნენ თავს საბაჟო გადასახადებისაგან.

საზრანგეთი. ორის კვარის შემდეგ გაიხსნება პარლამენტის შემოდგომის სესიია. პარლამენტი უმთავრესად მომავლის წლის ბიუჯეტის განხილვას მოაწოდებს თავის სხდომებს. ვალდებულების სამინისტრო ეხლა ძალიან სახიფათო მდგომარეობაშია; ის გარემოება, რომ ბიუჯეტით 50 მილიონი დევიაციით გამოყვანილი, კანონპროექტი მუშათა საპენსიო კასების დაარსების შესახებ და 1-ის ნოემბრისათვის განძრახული საყოველთაო ვაფიცვა მთა-მადნების მუშებისა—ყველა ეს ვალდებულებების სამინისტროს სუსტს მხარეს შეადგენს.

შურნალ-გაზეთებისა

(ამოკრებული ამბები)

მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთით თვითნებურად და დაზარალებულ თვითნებურად შეუღებულ ახალი პიესა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ამ პიესას მოსკოვის პატარა თვითნებურად წარმოადგენენ. აი მოკლედ შინაარსი პიესისა. უმთავრესი გმირი პიესისა—განათლებული, ნიჭიერი მკურნალი ქირურგია, გმირ-ქალად გამოყვანილია ქვრივი, მილიონების პატრონი. ამ ქვრივის ქმარი ექვარი იყო. გარდაიცვალა იგი მძიმე ოპერაციის დროს. სწორედ ამ ოპერაციის დროს შეპყნდნენ ერთმანეთს ზემოხსენებული ნიჭიერი მკურნალი და ვაჭრის ცალი. რამდენიმე ხნის შემდეგ მკურნალი და ქვრივი დაახლოვდნენ. გარდაცვალებულმა ვაჭარმა მთელი თავისი ქონება ქვრივს დაუტოვა; მაგრამ ანდერძის ერთ მუხლში ჩაუმატა, რომ თუ ქვრივი გათხოვდა, ქონება იმას აღარ ღარჩებოდა. ქვრივი ისეა გატაცებული სიყვარულით, რომ მზად არის მილიონებულ ხელი აიღოს და მკურნალს მისთვის დედასე არა ჰყოლოს მკურნალი ყველაზედ მაღლა ეს მკურნალი საზოგადოების სამსახურს აყენებს. სწორედ ამიტომ იგი შერთავზედ ხელს იღებს და ქვრივის მილიონებით იწყობს სამაგალითო კლინიკის გამართვას. აი ამ დროს წამოჰყოფენ თავს ქვრივის ნათესავნი, რომელნიც ყველ სულალებსა ხმარობენ, რათა მკურნალის აზრის განხორციელებას ხელი შეუშალონ ავტორს გამოჰყავს სალიბერალო პროფესიის წარმომადგენლები—მკურნალი, ვეტიკონი და სხვანი, სიტყვით ჰუმანისტნი, საქმიანი—კუჭის მათყვანებლები, ჯიბის გასქელების მოხურენნი.

უკანასკნელის ცნობებით, უმაღლესი სასწავლებელი მთელს რუსეთში (ფინლიანდის გარდა) ყოფილა: 9 უნივერსიტეტი, 7 სასულიერო (პართალ-მადრიდებულთა და სხვა სარწმუნოების) აკადემია, 2 სამკურნალო სასწავლებელი, 3 იურიდიული, 2 საისტორიო და საფილოლოგიო, 12 სატექნიკო, 5 სამხედრო, 3 აღმოსავლეთ ენებისა, 3 სასოფლო-მეურნეობისა, 3 საბეითალო და 3 ქალთა სასწავლებელი, სულ 54, სადაც 16,570 კაცი და ქალი სწავლობს. საშუალო სასწავლებელი ყოფილა 880, სწავლობს იქ 162,000 მასწავლებელს, პირველ დაწესებულებაში—79,000, სადაც 154,650 კაცი და ქალი მასწავლებლობს და 4,204,000 ბავშვი სწავლობს.

ამერიკელ გარლანდს გამოუგონია ახალი მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზნი, რომლითაც ერთ წუთში 208-ჯერ შეიძლება გასროლა. უუმბარას ეს ზარბაზნი 14 ვერსის მანძილზედ ისვრის. გარლანდს აზ-

რალა აქვს ამ ზარბაზნის საკეთებელი ქარხანა რუსეთში გამართოს.

*** ***
პოლონელ ტენიკოს იან შეხანისკის გამოუგონია ჩაქანი, რომელსაც ტყვია, თუ არა ძალიან ახლო მანძილზედ, ვერაფერს აკლებს. ეს ჩაქანი აბრეშუმისაგან არის გაკეთებული. იგი ევენაში გამოსცადეს. ამ ჩაქანში გამოჰყობილს თოფის ტყვია მხოლოდ 30 ნაბიჯის მანძილზედ ვნებს. სულ 5 გირვანქას იწონის თურმე.

*** ***
მთა-მადარობში მთელ დედამიწის ზურგზედ 4,355,204 კაცი მუშაობს თურმე. ეს ამოტენა ჯარი თავის სიცოცხლის დიდ ღირსს დედამიწის გულში ატარებს, საიდგანაც იღებენ ოქრო-ვერცხლს, რკინას, თვალ-მარგალიტს, ქვანახშირსა და სხვას. პირველი ადგილი მუშათა სიმრავლით უჭირავს.

ინგლისი	875,603	კაცი
შვედთ. შტატებს . . .	498,569	"
იტალიას	318,888	"
კუნძ. ცეილონს	310,210	"
საფრანგეთს	292,821	"
რუსეთს	239,434	"
ავსტრალიურ-გვრეთს .	219,227	"
ბელგიას	160,150	"
იაპონიას	118,517	"
სამხრეთ-აფრიკას . . .	100,000	"

უკანასკნელის გამოანგარიშებით, უღრმესი ქალაქები ევროპაში შემდეგია:

ლონდონი	6,524,000	მც.
პარიზი	2,714,000	"
ბერლინი	1,884,000	"
ვენა	1,675,000	"
პეტერბურგი	1,439,000	"
კონსტანტინეპოლი . . .	1,125,000	"
ნოსკოვი	1,036,000	"

დეკემბერი

(„რუსეთის დეკემბრისა საგანტოსაგან“).

- 10 ოქტომბერი. **პეტერბურგი.** 10 ოქტომბერს პეტერბურგს დაბრუნდა გზათა მინისტრი.
- ტარიცინი.** 10 ოქტომბერს ასტრახანიდან ცარიცინზე იოანე კრონშტატელმა გაიარა და მიძინების ეკლესიაში წირვა შეასრულა; 5,000-ამდე მლოცველი დაესწრო.
- ასხაბადი.** მერვეში ყოფნის დროს სამხედრო მინისტრმა საპრობილე დაათვალიერა; ტუსაღთა შორის ექვსი აფგანელი იყო, რომელთაც ჯაშუშობას აბრალდნენ. სამხედრო მინისტრმა, დარწმუნდა რა, რომ იმათ ჯაშუშობის დასამტკიცებლად არავითარი საბუთი არ არსებობს, გამოუტყდა, რომ ისინი განთავისუფლებულნი არიან და შემდეგი უთხრა: „აფგანისტანს უბედურება ეწვია, მმართველი აფგანისტანისა გარდაიცვალა და იმის ადგილი დაიჭირა ხაბიბულამ. ჩვენ, რუსები, წინადაც აფგანისტანის მეგობრები ვიყავით და ესეა ასეთები ვიქნებით; ამიტომ, განთავისუფლებთ რა, გავალბეთ ეახლოთ თქვენს მახლობელს მთავრობას და გადასცეთ ის, რაც სამხედრო მინისტრისაგან გაიგონეთ“.
- ძრისტიანია.** გაზეთი „ვერდენსგანი“ სწერს: „ნობელის კომიტეტი არ აცხადებს, ვის მიესაჯა მშვიდობიანობის პრემია, მაგრამ თითქმის ექვს გარეშეა, რომ პრემია ერგება შვეიცარიელს ექიმს პენრიხს დიუნანტს, რომლის სასარ-

- გებლოდაც, როგორც ხმა დაადგეს, 37-მა ავტორიტეტმა მისცა ხმა. დიუნანტის შემდეგ ბევრი ხმები მიიღო ფრანგმა ფრედერიკ პასიმომ.
- ბაზოვი.** კოზლოვის ერობამ მომავლის წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანა 400 მან. სოფლად თავშესაფარების გასამართავად და დაადგინა საგუბერნიო ერობის წინაშე ამ კეთილს საქმეში დახმარებისთვის იშუამდგომლონი.
- ბერლინი.** ბერლინის ბირჟამ მოიწონა განცხადება მოსკოვ-კურსკის რკინის გზის 4⁰/₁₀ ობლიგაციების და ლოდის რკინის გზის ქარხნის 4⁰/₁₀ ობლიგაციების გამოცემის შესახებ.
- სანტ-პეტერბურგი.** კომიტეტმა დაადგინა გადადოს ვაფიცვა; შვიდი წევრიდან ერთს ხმა არ მიუცია, 3 — წინააღმდეგი იყო ვაფიცვის გადადებისა და 4 მომხრე.
- 11 ოქტომბერი. **პეტერბურგი.** სახელმწიფო მდივანი პლევე სამსახურის აღსრულებას შეუღდა.
- ბერლინი.** 11 საათზე გადაიცვალა რეისტაგის წევრი სიმანსი, რომელიც წინად გერმანიის დირექტორად იყო.
- კონსტანტინეპოლი,** 10 ოქტომბერს შესდგა კომისია სულთა წინ საპატრიო თავმჯდომარეობით და რეფ-ფაშის ნამდვილის თავმჯდომარეობით ფინანსთა უწყების მდგომარეობის განსახილველად.
- მოსკოვი.** მოსკოვის მაზრის საეროპო ყრილობამ დაადგინა, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ ნება მოეცეს ამ ერობას კანონით განსაზღვრულს ვადაზე ადრე დაიწყოს ხოლმე თავისი სხდომები და გვიან გაათავოს, რადგანაც იმისი ეკონომიური ოპერაციები ძალიან გაფართოვდნენ.— ერობის მოხელეთა შვილების ასაზრდელად ყრილობამ 1000 მანათი გადასდო.
- პარიზი.** კონსერვატიული გაზეთები, რომლებიც ამას წინად რუსეთთან კავშირის წინააღმდეგ სწვრდნენ, ესლა იმ ეროვნების ენტუზიაზმის გამო, რომელიც რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის და იმპერატრიცის მისვლამ გამოიწვია, სრულიად სხვა ნაირად ლაპარაკობენ. ბონაპარტისტების გაზეთს „Autorite“—ში ამ გაზეთის რედაქტორმა, კასანიკამა, დასწერა ერთი წერილი, რომელშიაც ამბობს: „ესლა ისე, როგორც წინად ჩვენ მომხრე ვართ რუსეთთან კავშირისა და ვაცხადებთ, რომ ამ კავშირის მოსპობა საფრანგეთისთვის დიდი უბედურება იქნებოდა. მხოლოდ ამ კავშირს შეუძლიან—იმეორებს გაზეთი,—საფრანგეთს გამარტოვება ააცილოს თავიდან! ამ კავშირმა უკვე გაგვიფართოვა კოლონიალური პოლიტიკა“.
- თუმცა საფრანგეთ-ოსმალეთის კონფლიქტში არავითარი ცვლილება არ მოხდარა, მინც იმედი აქვთ, რომ იგი მალე მშვიდობიანად გათავდება.

განცხადებანი
ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს საყოველთაოდ, როგორც კავასიის მთავარ-მართებლის განკარგულებით მომავალი არჩევნები ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმონებისა მოხდება სამ საარჩევნო კრებაზედ. ერთ კრებაში შევაიქვ 1, 2, 3 და 4 საპოლიციო ნაწილების ამომრჩევლები, მეორეში—5, 6 და 7 ნაწილების ამომრჩევლები და მესამეში—8, 9 და 10 ნაწილების ამომრჩევლები. ქალაქის გამგეობის შედგენას, იწვევს ბ-ნთ უძრავ ქონებათა პატრონთ განთავისუფლონი თავიანთი ქონებანი დაფასების გარდა დასახადის იმ დარჩენილ ფულისაგან, რომელიც 1901 წლის 1 იანვარსამდე ითვლებოდა, ამისთან იმათ ვისაც უძრავი ქონებანი და საეკონომიკური მრეწველო დაწესებულებანი ქალაქის რამდენსამე ნაწილში აქვთ, უნდა წინაწინვე გამოუცხადონ გამგეობას, ხმონათა არჩევანების დროს რომელ საარჩევნო კრებაში ჰსურთ მოსაწილეობის მიღება.

(3—6.—3)

კონსტანტინე

კონსტანტინე იაკოვის ძის ზუბალაძეის სახელობაზე ტფილისში განზრახულ სახალხო სახლის პროექტის შესაღწევად.

- სახალხო სახლის ამშენებელი კომიტეტი აცხადებს კონკურსს ტფილისში განზრახულ სახალხო სახლის ამშენებისათვის პროექტის შესაღწევად შემდეგ პირობებით:
- 1) სახალხო სახლის აგება განზრახულია მე-X ნაწილში, დიდ-მთავრისა და კირონის ქუჩების კუთხეში, 563 ოთხ-კუთხ საყენ ადგილზედ ადგილი სწორია. ქუჩების სიგანე, უტრატურად, 5 საე.; ტრატურების სიგანე 2 არშინი. კირონის ქუჩაზე ფსადის სიგანე—23,82 საე., დიდ-მთავრის ქუჩაზე—23,6 საე., ადგილის გეგმა შეადგინა ქალაქის მიწის მშობელომა ლაორიონოვმა.
- 2) სახალხო სახლი უნდა შეიკავდეს: ა) დარბაზს სათავართო სცენათ 600 კაცის მოსათავსებლად. სცენათთან უნდა იყოს ყველა საჭირო ოთახი, რომელთა მოთავსება სცენის ქვეშაც შეიძლება; ბ) ჩიის სასმელ-დაბაზს 200 კაცისათვის; გ) სამკითხველოს 50 კაცისათვის და მასთან წიგნების საწყობსაც; დ) მოსამსახურეთა ოთახებს. ამისთანვე პროექტის შედგენის დროს მხედველობაში მიღებულ უნდა იქნას, რომ მთავალში სახლს მიემატება სასადილო ოთახი სამზარეულოთი.
- 3) სახლის ასაგებად კ. ი. ზუბალაძეის მემკვიდრეებმა გადასდეს 70 ათასი მან. ფსადი უმთავრესის შესავალით პირდაპირ ქუჩაზე იქნება; მეორე ქუჩის ფსადი-კი ქუჩიდან ოთხ საყენზე უნდა დაიწიოს, რათა წინ ბაღი გაშენდეს. სახალხო სახლისა და მემკვიდრეულ მემკვიდრეებს შორის დატოვებული უნდა იქნას დაწესებულის სიგანის ადგილი ეტლების მოძრაობისათვის.
- 4) საუკეთესო პროექტების დასაჯილდოვებლად კ. ი. ზუბალაძეის მემკვიდრეები აწესებენ ორ პრემიას: 500 და 300 მანათისა. ეს პრემიები დაენიშნება განსაკუთრებულ ჟიურის დადგენილების თანხმად. ჟიურის წევრებად არ იქნებიან არც შემომწირველები, არც სახალხო სახლის კომიტეტის წევრები. ჟიურის დადგენილება საბოლოო იქნება.
- 5) კონკურსი მხოლოდ მაშინ მოხდება, როდესაც არა ნაკლებსა მის პროექტისა იქნება წარდგენილი; ჟიურის უფლება აქვს არ შეიწყოს ნაროს კონკურსი, თუ ყველა წარმოდგენილი პროექტი უვარგისად იქნა. ჟიურის ნება აქვს 1-ლი პრემია ორ ნაწილად გაჰყოს, თუ ვერც ერთს პროექტს ვერ იცნობს 1-ლ პრემიის ღირსად. ჟიურის წევრების ვინაობა გამოცხადდება შემდეგ, როდესაც ისინი დანიშნებიან.
- 6) ყველა დაჯილდოვებული პროექტები კომიტეტის საკუთრება იქნება. არა დაჯილდოვებულ პროექტებს, თუ კომიტეტი მოისურვებს შეიძინოს მესაკუთრებათა შეთანხმებით.
- 7) 1 საჯილდოვებულ პროექტის ავტორს, ან თუ მან უარი განაცხადა, მე-2 პროექტის ავტორს კომიტეტი დაავალბებს საბოლოო პროექტის შედგენას; შემდგენელს ნება მიეცება ისარგებლოს ყველა შეგონილ პროექტებით და ვალდებული იქნება შეასწოროს პროექტი კომიტეტის შენიშვნების თანახმად. ამ პროექტის შემდგენელს ჯილდოთ მიეცემა 70 ათას მანეთის 10%. შენობის აგების დროს ტენიკურ ზედამხედველობისათვის სპეციალისტს თვით ზუბალაძეის მემკვიდრეებმა რომელიც თავის თავზე იღებენ საქმის სამეურნეო და საფინანსო ნაწილს.
- 8) საეკონომიკური პროექტი უნდა იყოს შემდგარი: ფსადებსა და გზებში დაწესებულ მაშტაბის მიხედვით; პროექტთან ერთად უნდა იყოს მისი წერილობითი ახსნა და მოკლე ხარჯთ-აღრიცხვა.
- 9) კონკურსი მოხდება ქ. ტფილისში: ყველა პროექტი არა უგვიანეს 1902 წ. 2 თებერვლის შუადღის 12 საათისა უნდა წარდგინოს კომიტეტის წევრს თ. გიორგი მიხეილ ის ძე თუმანოვს (ბარათინის ქუჩა, საკუთ. სახლი ყველა გეგმა, ახსნა და ხარჯთ-აღრიცხვა გარკვევით უნდა იყოს აღნიშნული დევიზით ან ნიშნით. იმავე დევიზით ან ნიშნით აღნიშნული უნდა იყოს დაბეჭდილი კონკურტიც, რომელშიაც უნდა იყოს ავტორის სახელი და გვარი და დაწვრილებითი ადრესი.
- 10) პრემიები მიეცემა ავტორებს ორის კვირის ვადაზე იმ დღისაგან, რა დღესაც ჟიური კომიტეტს გამოუცხადებს თავის დადგენილებას.
- 11) ჟიურის უფლება აქვს თავის სხდომებზე მიიწვიოს ყველა ისრა, რომელთაც სასარგებლოდ სცნობს, მაგრამ მოწვეულთ მხოლოდ სათაბირო ხმა ექნებათ.
- 12) კონკურსში მონაწილეობის მიღების მსრულოველთ ადგილის გეგმის პირისა და სხვა ცნობების მიღება შეუძლიანთ თავ. გ. მ. თუმანოვისაგან.
- 13) არა დაჯილდოვებული პროექტები ავტორებს დაებრუნებათ კონკურტების გაუხსნელად, როდესაც წარმოდგენენ საფოსტო ან კომიტეტისაგან მიღებულ კვიტანციებს.

(3—უ—1)